დანართი №3

განსაზღვრულია

ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 27 სექტემბრის #9 ოქმით

დამტკიცებულია

სადისერტაციო საბჭოს 2024 წლის 20 ნოემბრის #4 გადაწყვეტილებით

დისერტაციის წინასწარი განხილვა - სტანდარტი და კრიტერიუმები

1. დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობა, დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, არის სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა შესაბამისი კათედრის სხდომაზე. წინასწარი დაცვა უნდა შედგეს დამამთავრებელ სემესტრში. მისი ჩატარების ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

2. კათედრის სხდომის შემადგენლობას, რომელზეც წინასწარი დაცვა უნდა შედგეს, განსაზღვრავს კათედრის გამგე. მას შეიძლება დაესწრონ შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, მოწვეული პროფესორები, ემერიტუსები და სხვა დაწესებულების სპეციალისტები. თავმჯდომარე და მდივანი არჩეული უნდა იყვნენ სხდომის შემადგენლობიდან. სხდომის თავმჯდომარე შეიძლება იყოს კათედრის გამგე ან პროგრამის ხელმძღვანელი. კათედრის სხდომას წარმართავს თავმჯდომარე.

3. დოქტორანტი სხდომას გააცნობს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ განსაზღვრავს, სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობას, სამეცნიერო სიახლეს, პრაქტიკული ღირებულებას; წარმოაჩენს სადისერტაციო ნაშრომში დასმულ სამეცნიერო პრობლემატიკას და მისი გადაწყვეტის გზებს; უპასუხებს სხდომის მონაწილეთა შეკითხვებს.

4. განხილვის შედეგად, კათედრის სხდომა იღებს გადაწყვეტილებას ნაშრომის სადისერტაციო საბჭოსთვის წარდგენის, ან მისთვის შემდგომი მსვლელობის განსაზღვრის თაობაზე. ამის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომი უბრუნდება დოქტორანტს, მიღებული შენიშვნების შესაბამისად მასში შესწორებების შეტანის მიზნით. განმეორებითი განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ. წინასწარი განხილვის მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კათედრის სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმის განუყოფელი ნაწილია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა. წინასწარი დაცვის მიმდინარეობა იწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (კომპაქტდისკზე, ან სხვა ელექტრონულ მატარებელზე დაცული) ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

4.1 სადისერტაციო ნაშრომში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ვადა და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

5. გამონაკლის შემთხვევაში, კათედრის სხდომის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე გაცემული რექტორის ნებართვის შესაბამისად, დოქტორანტმა წინასწარი დაცვის ეტაპი, შესაძლებელია, გაიაროს დისტანციურად, ონლაინ პლატფორმის გამოყენებით.

6. წინასწარი დაცვის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია კათედრის გამგის თანაშემწე.

7. კათედრის სხდომის წევრები დოქტორანტს აფასებს დანართი 1-ის (შეფასების კრიტერიუმები) მიხედვით. შეფასება დადებითია იმ შემთხვევაში, თუ ყველა კრიტერიუმი „მეტწილად დაკმაყოფილებულია“. შეფასება ფორმდება შეფასების ოქმით (დანართი 3, ოქმი).

8. კათედრის სხდომა, ასევე, განიხილავს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნას და მის მოსაზრებებს აღნუსხავს საოქმო ჩანაწერის სახით (დანართი 3, ოქმი).

დანართი 1. წინასწარი განხილვის შეფასების კრიტერიუმები

<u>ინსტრუქცია:</u>

1. **შეფასების სკალა**

შემფასებელი იყენებს ოთხდონიან სკალას და ხელმძღვანელობს ქვემოთ მოცემული მითითებებით:

შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ კვლევისას გამოყენებული მიდგომები და ნაშრომში წარმოდგენილი შედეგები სრულად პასუხობს კრიტერიუმის მოთხოვნებს;

მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომიდან შესაძლებელია კრიტერიუმის შესაბამისი შედეგების წარმოჩენა, თუმცა ნაშრომს აქვს სუსტი მხარეებიც, რომელთა დაძლევა შესაძლებელია მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 6 თვისა);

ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზე აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს, მაგრამ აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევად საჭირო დრო და რესურსი სცდება ნაშრომის გასწორებისათვის სადოქტორო პროგრამითა და რეგულაციებით განსაზღვრულ დროს.

არ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „არ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს.

გთხოვთ, განსაზღვროთ შეფასება მითითებული კრიტერიუმების გამოყენებით, შეფასების შესაბამისი სკალების მიხედვით.

2. **შემფასებლის დასკვნა**

შემფასებელი ნაშრომს აფასებს კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით. აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნას; კრიტერიუმის მოთხოვნების გათვალისწინებით, უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სასურველია, შემფასებლის დასკვნა არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

1. საკვლევი თემა აქტუალურია. კვლევა მიზნად ისახავს კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის გადაჭრას, რაც მნიშვნელოვანია დარგის განვითარებისა და დარგში არსებული გამოწვევების დაძლევისათვის.

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

2. საკვლევი თემის დამუშავებისას გამოყენებული და სიღრმისეულად განხილულია კვლევისათვის მნიშვნელოვანი წყაროები და ლიტერატურა, რომელიც, ამავე დროს, მოიცავს საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ თანამედროვე გამოკვლევებს როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

3. კვლევა წარმართულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად. გამოყენებული მეთოდები შეესაბამება სადოქტორო ნაშრომის მიზნებს და საკვლევ პრობლემატიკას.

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

4. ნაშრომში გამოკვეთილი და ლოგიკურად ჩამოყალიბებულია კვლევის შედეგად მიღნებული სამეცნიერო სიახლე.

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

5. დოქტორნატის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და დარგის აქტუალური პრობლემების გადაჭრის პოტენციალი.

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

6. პრეზენტაციაში ნაშრომის ძირითადი დებულებები წარმოდგენილია ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და ლაკონიურად. პრეზენტაცია შესრულებულია ვიზუალურად დახვეწილი, აკადემიური სტილით.

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

7. დოქტორანტი გარკვევით საუბრობს ჩატარებული კვლევის შესახებ, ლოგიკურად და თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს, ნათლად აკავშირებს მიღებულ შედეგებს კვლევის საგანსა და მიზნებთან, გამოკვეთს სამეცნიერო სიახლეს. თანმიმდევრულად და ამომწურავად პასუხობს ყველა კითხვას. ითვალისწინებს/იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს.

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

დანართი 2. შეფასების უწყისი

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის
თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

სადოქტორო ნაშრომის წინასწარი დაცვის შეფასების უწყისი

სადოქტორო პროგრამა _____

დოქტორანტი _____

სადოქტორო ნაშრომის სახელწოდება

შეფასების კრიტერიუმები	შეფასება
კვლევა მიზნად ისახავს კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის გადაჭრას, რაც მნიშვნელოვანია დარგის განვითარებისა და დარგში არსებული გამოწვევების დაძლევისათვის.	
საკვლევი თემის დამუშავებისას გამოყენებული და სიღრმისეულად განხილულია კვლევისათვის მნიშვნელოვანი წყაროები და ლიტერატურა, რომელიც, ამავე დროს, მოიცავს საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებულ თანამედროვე გამოკვლევებს როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.	
კვლევა წარმართულია ლოგიკურად და თანმიმდევრულად. გამოყენებული მეთოდები შეესაბამება სადოქტორო ნაშრომის მიზნებს და საკვლევ პრობლემატიკას.	
ნაშრომში გამოკვეთილი და ლოგიკურად ჩამოყალიბებულია კვლევის შედეგად მიღებული სამეცნიერო სიახლე.	
დოქტორნატის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და დარგის	

აქტუალური პრობლემების გადაჭრის პოტენციალი.	
პრეზენტაციაში ნაშრომის ძირითადი დებულებები წარმოდგენილია ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და ლაკონიურად. პრეზენტაცია შესრულებულია ვიზუალურად დახვეწილი, აკადემიური სტილით.	
დოქტორანტი გარკვევით საუბრობს ჩატარებული კვლევის შესახებ, ლოგიკურად და თანმიმდევრულად აყალიბებს დასკვნებს, ნათლად აკავშირებს მიღებულ შედეგებს კვლევის საგანსა და მიზნებთან, გამოკვეთს სამეცნიერო სიახლეს. თანმიმდევრულად და ამომწურავად პასუხობს ყველა კითხვას. ითვალისწინებს/იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს.	
გადაწყვეტილება	**დადებითი/უარყოფითი**
კომენტარები	

კათედრის სხდომის თავმჯდომარე _____

თარიღი _____

კათედრის სხდომის მდივანი _____

თარიღი _____

დანართი 3 - შეფასების ოქმი

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

სადოქტორო ნაშრომის წინასწარი დაცვისა და შეფასების ოქმი	ჩატარების თარიღი (რ/თ/წ)

ინფორმაცია მოხსენების შესახებ	
დოქტორანტის გვარი, სახელი:	
ნაშრომის სათაური:	
მიმართულება:	

წინასწარი დაცვის შეფასება კათედრის სხდომის მიერ		
შემფასებლის სახელი, გვარი	აკადემიური თანამდებობა	შეფასება
1.		
2.		
3.		
...		
	გადაწყვეტილება:	

შემფასებლების ხელმოწერა:

1._____

2._____

3._____

4._____

5._____

სხდომის თავმჯდომარე	_____	_____ ხელმოწერა
მდივანი	_____	_____ ხელმოწერა

კათედრის სხდომის საოქმო ჩანაწერი

კათედრის სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერა _____

თარიღი _____

კათედრის სხდომის მდივნის ხელმოწერა _____

თარიღი _____